საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი

სახელმძღვანელო ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირებისთვის

2014

საქართველოს სახალხო დამცველი

UN WOMEN

სახელმძღვანელო ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირებისთვის

2014

Enhancing Gender Equality in Georgia

UN WOMEN
United Nations Entity for Gender Equality and the Empowerment of Women

UNDP
Empowered lives.
Resilient nations.

SWEDEN

UNFPA

საქართველოს სახალხო დამცველი

ISBN 978-9941-0-7487-5

გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) არის გაერთიანებული ერების სააგენტო, რომელიც გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და ქალთა შესაძლებლობების გაზრდის საკითხებზე მუშაობს. ორგანიზაციის დაარსების მიზანს წარმოადგენს მთელი მსოფლიოს მასშტაბით ქალთა და გოგონათა ინტერესების დაცვა და მათი პრიორიტეტების დაკმაყოფილება.

გაეროს ქალთა ორგანიზაცია მხარს უჭერს გაერთიანებული ერების წევრ სახელმწიფოებს გენდერული თანასწორობის მიღწევის საყოველთაო სტანდარტების შემუშავებაში; თანამშრომლობს მთავრობებსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან ამ სტანდარტების შესაბამისი კანონმდებლობის, პოლიტიკის, პროგრამებისა და მომსახურების შექმნის პროცესში. გაეროს ქალთა ორგანიზაცია ხელს უწყობს ცხოვრების ყველა სფეროში ქალთა თანაბარ მონაწილეობას და განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ხუთ ძირითად მიმართულებაზე: ქალთა ლიდერობისა და მონაწილეობის გაზრდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში; ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა; სამშვიდობო და უსაფრთხოების პროცესების ყველა ასპექტში ქალთა მონაწილეობის უზრუნველყოფა; ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და გენდერული თანასწორობის პრინციპების, როგორც მნიშვნელოვანი პრიორიტეტის, ინტეგრირება ქვეყნის განვითარების დაგეგმვისა და ბიუჯეტის განსაზღვრის პროცესებში. ამასთან, გაეროს ქალთა ორგანიზაცია ახორციელებს გაეროს სისტემაში გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაციასა და წახალისებას.

წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შესაძლოა არ გამოხატავდეს გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (United Nations) ან რომელიმე მისი წევრი ორგანიზაციის მოსაზრებებს.

გამოცემა მომზადდა გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის საქართველოში“ ფარგლებში, შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით.

© გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women)

წინამდებარე სახელმძღვანელო შეიქმნა ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საქართველოს კანონმდებლობის თანახმად და მოიცავს ინფორმაციას როგორც სამართლებრივი რეგულაციების, ასევე სახელმწიფო სერვისების შესახებ. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი მრავალი წლის მანძილზე სწავლობდა ოჯახში ძალადობის შემთხვევებს და რა თქმა უნდა, მომავალშიც განაგრძობს ამ თემაზე მუშაობას. სწორედ გამოცდილებამ დაგვანახა, რომ საჭიროა ერთ დოკუმენტში მოექცეს ის რეგულაციები, რომლებიც მსხვერპლთა დაცვის მიზნით არის შექმნილი.

შემაშფოთებელია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მასშტაბები და სიმძაფრე. პრობლემის დასაძლევად დიდი სამუშაოა ჩასატარებელი. მოცემული დოკუმენტი კი აღნიშნულ საქმეში ერთ მცირე რგოლს წარმოადგენს. სახელმძღვანელო, უპირველესად, დაეხმარება დაინტერესებულ სახელმწიფო მოხელეებს ზუსტად განსაზღვრონ, თუ როგორ იმოქმედონ ძალადობის შემთხვევის აღმოჩენისას, ვის მიმართონ და რა ღონისძიებების გატარება მოითხოვონ. თუმცა წიგნი ასევე საინტერესოა ყველა იმ ორგანიზაციისა თუ პირისათვის, ვინც ოჯახში ძალადობის თემაზე მუშაობს და სურს დახმარება გაუწიოს მსხვერპლს.

სახელმძღვანელო შედგენილია უახლესი საკანონმდებლო ცვლილებების მიხედვით, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2014 წლის 17 ნოემბერს დაამტკიცა. ასევე, დეტალურად არის მოცემული ინფორმაცია ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრების, ცხელი ხაზისა თუ სხვა სახელმწიფო სერვისების შესახებ.

ვიმედოვნებ, რომ ჩვენ მიერ გაწეული სამუშაო დაეხმარება ყველას, ვისაც ძალადობის უმძიმეს თემასთან უწევს შეხება და ეს კიდევ ერთი მცირე, მაგრამ საჭირო ნაბიჯი იქნება ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის საკითხში.

უჩა ნანუაშვილი
საქართველოს სახალხო დამცველი

სარჩევი

ოჯახში ძალადობის განმარტება 5

რას გულისხმობს ოჯახში ძალადობა? 5
ვინ მოიაზრება ოჯახის წევრებში? 5
რა სახის ძალადობას შეიძლება ჰქონდეს ადგილი ოჯახში? 6
ვინ არის ოჯახში ძალადობისგან დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანო? 6

ოჯახში ძალადობის მსხვერპლის უფლებები და დაცვის მექანიზმები 7

სატელეფონო გადაუდებელი მომსახურება 7

შემაკავებელი და დამცავი ორდერების გამოცემა 8

შემაკავებელი ორდერი 8
დამცავი ორდერი 9

თავშესაფრები 12

რა მოქმედებათა განხორციელება ეკრძალება მოძალადეს? 12

კრიზისული ცენტრები 4

ოჯახში ძალადობისაგან დაცვის მექანიზმები 15

სისხლისსამართლებრივი მექანიზმები 15
სამოქალაქო-სამართლებრივი მექანიზმები 16
ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმები 16
ვის მივმართოთ ოჯახში ძალადობის ჩადენის, დამცავი ან შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში? 16

სხვა საჭირო ინფორმაცია 18

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარებისათვის 19

ოჯახში ძალადობის განმარტება

ოჯახში ძალადობა ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული და გავრცელებული ძალადობის ფორმაა. იგი მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში არსებობს და საზოგადოების ყველა ფენას მოიცავს. ოჯახში ძალადობას ახასიათებს ფარული, სპეციფიური და განგრძობადი ხასიათი, რადგან ხორციელდება ოჯახის წევრის ან წევრების მიერ სხვა ოჯახის წევრ(ებ)ის მიმართ.

ქალთა მიმართ ძალადობა კომპლექსური მოვლენაა, რომელსაც ფესვები ღრმად აქვს გადგმული საზოგადოებაში – კულტურულ რწმენებსა და სქესთა შორის ძალაუფლების უთანასწორო გადანაწილებაში. გენდერული ნიშნით ძალადობა ყველა საზოგადოებაში ხორციელდება და მიზნად ისახავს ერთი სქესის (უმეტეს შემთხვევაში ქალების) სოციალურ, ფსიქოლოგიურ და ეკონომიკურ დაქვემდებარებას მეორე სქესისადმი. ქალთა მიმართ ძალადობა გლობალური ფენომენია, იგი დამახასიათებელია სხვადასხვა რასის, ეთნოსის, სოციალური, კულტურული, ეკონომიკური, პოლიტიკური თუ რელიგიური კუთვნილების ადამიანებისთვის.

ოჯახში ძალადობის, ისევე როგორც, ზოგადად, ძალადობის შემთხვევაში, არსებობს სამი კომპონენტი: 1. მსხვერპლი; 2. მოძალადე; 3. ქმედება (ძალადობა).

საქართველოს კანონმდებლობით, **მსხვერპლი** არის ოჯახის წევრი, რომელმაც განიცადა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური ძალადობა ან იძულება.

მოძალადე არის ოჯახის წევრი, რომელიც ოჯახის სხვა წევრის მიმართ ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ, სექსუალურ ძალადობას ან იძულებას ახორციელებს.

რას გულისხმობს ოჯახში ძალადობა?

ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით.

ვინ მოიაზრება ოჯახის წევრებში?

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით, ოჯახის წევრები არიან:

დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, შვილი (გერი), შვილობილი, მიმღები ოჯახი (დედობილი, მამობილი), შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობლები, სიძე, რძალი, აგრეთვე ყოფილი მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირები, მეურვე.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლების მიზნებისათვის, რომლებიც ოჯახში ძალადობის დასჯას ითვალისწინებენ, ოჯახის წევრად ითვლება:
მეუღლე, დედა, მამა, პაპა, ბებია, შვილი (გერი), შვილობილი, მშვილებელი, მშვილებლის მეუღლე, ნაშვილები, მიმღები ოჯახი (დედობილი, მამობილი), მეურვე, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობლები, სიძე, რძალი, ყოფილი მეუღლე, აგრეთვე პირები, რომლებიც ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას.

რა სახის ძალადობას შეიძლება ჰქონდეს ადგილი ოჯახში?

ფიზიკური ძალადობა – ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას; ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს ოჯახის წევრის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს.

ფსიქოლოგიური ძალადობა – შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას.

იძულება – ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ან/და საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება.

სექსუალური ძალადობა – სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქა-რით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ.

ეკონომიკური ძალადობა – ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას.

უგულებელყოფა – მშობლის ან/და კანონიერი წარმომადგენლის მიერ ბავშვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა, საბაზისო განათლების უფლების შეზღუდვა, საფრთხისაგან დაუცველობა, დაბადების რეგისტრაციის, სამედიცინო და სხვა მომსახურებით სარგებლობისათვის აუცილებელი მოქმედებების განუხორციელებლობა, თუკი მშობელს ან/და კანონიერ წარმომადგენელს აქვს სათანადო ინფორმაცია, შესაძლებლობა და ხელი მიუწვდება შესაბამის მომსახურებაზე;

ვინ არის ოჯახში ძალადობისგან დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანო?

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ოჯახში ძალადობის შემთხვევის გამოვლენას და მასზე შესაბამის რეაგირებას უზრუნველყოფენ სამართალდამცავი და სასამართლო ორგანოები, აგრეთვე, კანონით დადგენილი წესით, ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელ საუწყებათაშორისო საბჭოსთან არსებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფი.

ოჯახში ძალადობის ფაქტის პირველადი იდენტიფიცირების და მასზე რეაგირების მიზნით შესაბამისი ორგანოებისთვის მიმართვის ვალდებულება აკისრიათ სამედიცინო დაწესებულების, არასრულწლოვნის შემთხვევაში – საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებამოსილ თანამშრომლებს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა სუბიექტებს.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლის უფლებები და დაცვის მექანიზმები

სატელეფონო გადაუდებელი მომსახურება

ოჯახში ძალადობისგან თავის დასაცავად მსხვერპლს შეუძლია დარეკოს გადაუდებელი დახმარების ცენტრში – **112**, ასევე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდმა, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, შექმნა ცხელი ხაზი, რომელიც ოჯახში ძალადობის საკითხებზე ეხმარება ადამიანებს. ოჯახში ძალადობის **ცხელი ხაზი მუშაობს 24 საათის განმავლობაში**, ზარების ანონიმურობა დაცულია. ცხელი ხაზის ნომერია: **2 309 903**.

ოჯახში ძალადობის შედეგად დაზარალებულ პირთათვის, ასევე, შეიქმნება 24 საათიანი, ანონიმური, საგანგებო სატელეფონო ნომერი, რომელიც **უფასოდ** მოემსახურება აღნიშნული საჭიროების მქონე პირებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ცხელი ხაზის მეშვეობით შესაძლებელი იქნება სრული ინფორმაციის მოპოვება ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე არსებული რეაგირების მექანიზმების შესახებ (ძალაში შედის 2015 წლის 1 მაისს).

ოჯახში ძალადობის დროს მსხვერპლს შეუძლია დაუკავშირდეს საპატრულო პოლიციას, შეატყობინოს უბნის ინსპექტორს ან მიმართოს სასამართლოს განცხადებით. მას შეუძლია მოითხოვოს დამცავი ან შემაკავებელი ორდერის გამოცემა.

შემაკავებელი და დამცავი ორდერების გამოცემა

შემაკავებელი ორდერი

პატრული ან უბნის ინსპექტორი გამოსცემს ***შემაკავებელ ორდერს,*** ხოლო სასამართლო ამტკიცებს შემაკავებელ ორდერს, რომელიც ძალაში შედის გამოცემისთანავე.

ოჯახში ძალადობის ფაქტის შემთხვევაში პოლიცია ვალდებულია დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება; შეტყობინების მიღებისთანავე გამოცხადდეს შემთხვევის ადგილზე, მიუხედავად იმისა პოლიციის ორგანოებს მიმართა: **დაზარალებულმა, ძალადობის მოწმემ** თუ **მისი ოჯახის წევრმა,** ან მსხვერპლის თანხმობით **პირმა, რომელიც მსხვერპლს უწევს სამედიცინო, იურიდიულ, ფსიქოლოგიურ დახმარებას,** ხოლო ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევაში – ასევე **მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ.**

ძალადობის ფაქტის არსებობის შემთხვევაში პოლიცია ვალდებულია:

- მიიღოს ზომები ოჯახში ძალადობის ფაქტის აღსაკვეთად;
- განცალკევებულად გამოკითხოს სავარაუდო მსხვერპლი, მოწმე, მოძალადე, მათ შორის, ბავშვი, რაც წერილობით უნდა დააფიქსიროს;
- მიაწოდოს ინფორმაცია მათი უფლებების შესახებ;
- მსხვერპლის მოთხოვნით ან გადაუდებელ შემთხვევაში უზრუნველყოს მისი გადაყვანა სამედიცინო დაწესებულებაში;
- მსხვერპლის მოთხოვნით ან გადაუდებელ შემთხვევაში უზრუნველყოს მისი ან/და ბავშვის გადაყვანა თავშესაფარში;
- მსხვერპლის სხვა ადგილას გადაყვანის შემთხვევაში უზრუნველყოს საცხოვრებელი ადგილიდან მისი პირადი ნივთების წამოღება;
- უზრუნველყოს იმ პირის უსაფრთხოება, რომელმაც განაცხადა ძალადობის ფაქტის შესახებ;
- საჭიროების შემთხვევაში, გაარიდოს მოძალადე მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილიდან და ამ გზით უზრუნველყოს მსხვერპლის უსაფრთხოება.

პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომელი ოჯახში ძალადობის ფაქტისა და მიღებული ზომების შესახებ ადგენს ოქმს. მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად იგი, დროებითი ღონისძიების სახით, გამოსცემს **შემაკავებელ ორდერს**. აღნიშნული ორდერი გამოცემიდან **24 საათის განმავლობაში** დასამტკიცებლად წარედგინება სასამართლოს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას მისი დამტკიცების ან დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ. შემაკავებელი ორდერი გამოიცემა 1 თვემდე ვადით.

სასამართლო შემაკავებელი ორდერის დამტკიცების შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას, გააგრძელოს მისი მოქმედება დამცავი ორდერის გამოცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე.

თუ შემაკავებელი ორდერის გამოცემისას სახეზეა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები, საქმეზე

იწყება სისხლისსამართლებრივი დევნა. თუმცა სისხლისსამართლებრივი დევნა ხელს არ უშლის შემაკავებელი ორდერის გამოცემას. შესაძლებელია ორივე მექანიზმის ერთდროული გამოყენება.

რა მოქმედებათა განხორციელება ეკრძალება მოძალადეს?

შემაკავებელი ორდერი, რომელსაც ხელს აწერენ მისი გამოცემის უფლების მქონე პირი პატრული/უბნის ინსპექტორი და მსხვერპლი, შეიძლება ითვალისწინებდეს:

- მოძალადის იმ სახლისაგან მოშორების საკითხს, სადაც მსხვერპლი ცხოვრობს, მიუხედავად იმისა, იგი ამ სახლის მესაკუთრეა თუ არა;
- მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის მოძალადისაგან გარიდებისა და თავშესაფარში მათი მოთავსების საკითხებს;
- მოძალადის მიერ თანასაკუთრებით ერთპიროვნულად სარგებლობის უფლების აკრძალვას;
- მოძალადის ბავშვისაგან განცალკევების საკითხებს;
- მოძალადის მსხვერპლთან, მის სამსახურთან და სხვა იმ ადგილებთან, სადაც მსხვერპლი იმყოფება, მიახლოების საკითხებს;
- მოძალადისათვის იარაღით სარგებლობის უფლების შეზღუდვას, ასევე იარაღის შეძენის უფლების აკრძალვას.

დამცავი ორდერი

ოჯახში ძალადობის ფაქტზე უფლებამოსილი პირის მიმართვის საფუძველზე სასამართლოს მიერ მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად, დროებითი ღონისძიების სახით, შესაძლებელია გამოცემულ იქნეს დამცავი ორდერი.

განცხადება დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნის თაობაზე შეიტანება პირველი ინსტანციის ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის სასამართლოში.

ოჯახში ძალადობისას დამცავი ორდერის გამოცემისათვის სასამართლოსადმი მიმართვის უფლება აქვს: მსხვერპლს, აგრეთვე მისი ოჯახის წევრს, მსხვერპლის თანხმობით პირს, რომელიც მსხვერპლს უწევს სამედიცინო, იურიდიულ, ფსიქოლოგიურ დახმარებას. ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევაში — ასევე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.

განცხადება დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე წარმოდგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით. იგი უნდა შეიცავდეს:

- განცხადების შემტანი პირის სახელს, გვარს;
- განცხადების შემტანი პირის საცხოვრებელი ადგილის მისამართს;
- მოძალადის საცხოვრებელი ან/და სამუშაო ადგილის მისამართსა და ტელეფონის (მათ შორის, მობილურის) ნომერს, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- ოჯახში ძალადობის ფაქტის აღწერას;
- ცნობებს მოძალადისა და მსხვერპლის, მათი ურთიერთკავშირის შესახებ;
- მტკიცებულებათა ჩამონათვალს;
- დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნას;

მსხვერპლის ან დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნის უფლების მქონე სხვა პირის ხელმოწერას სასამართლო განცხადების მიღებიდან **10 დღის ვადაში** განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას.

დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს გამოცემული დამცავი ორდერის მოქმედებას.

სასამართლო პროცესზე მხარეთა გამოუცხადებლობა არ აფერხებს ამ მუხლით გათვალისწინებული საკითხების განხილვას შესაბამის სასამართლოში.

რას შეიძლება ითვალისწინებდეს დამცავი ორდერი?

- მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის მოძალადისაგან დაცვის ზომებს;
- მსხვერპლის მოძალადისაგან გარიდებისა და თავშესაფარში მოთავსების საკითხებს;
- მოძალადის ვალდებულებას — არ შეზღუდოს მსხვერპლი, ისარგებლოს პირადი ნივთებით, ავტომანქანით ან/და სხვა იმ ქონებით, რომელიც აუცილებელია პიროვნების ნორმალური არსებობისათვის;
- მოძალადის მიერ თანასაკუთრებით ერთპიროვნულად სარგებლობის უფლების აკრძალვას;
- მოძალადის ბავშვისაგან განცალკევების, მასთან შეხვედრისა და ურთიერთობის რეგულირების საკითხებს;
- მოძალადის მსხვერპლთან, მის სამსახურთან და იმ სხვა ადგილებთან, სადაც მსხვერპლი იმყოფება, მიახლოების საკითხებს;
- მოძალადისათვის იარაღით, მათ შორის, სამსახურებრივ-საშტატო იარაღით, სარგებლობის უფლების შეზღუდვას, ასევე იარაღის შეძენის ან შეძენაზე ნებართვის მოპოვების უფლების აკრძალვას ორდერის მოქმედების ან ორდერით განსაზღვრულ პერიოდში;
- მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილიდან მოძალადის გარიდების საკითხს;
- მოძალადის მიერ ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლის საკითხს (2015 წლის 1 სექტემბრიდან);
- მოძალადის მიერ მსხვერპლის მკურნალობის, თავშესაფარში ყოფნის და სხვა, გონივრულ ფარგლებს მიკუთვნებული ხარჯების ანაზღაურების საკითხებს; მოძალადის სარეაბილიტაციო ცენტრში მოთავსების, მისი რეაბილიტაციის ღონისძიებებისა და რეაბილიტაციაზე ზედამხედველობის საკითხებს;
- გაფრთხილებას — ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ;
- სხვა საკითხებს, რომელიც აუცილებელია მსხვერპლის უსაფრთხოებისთვის.

რა ვადით გამოიცემა დამცავი ორდერი?

დამცავი ორდერი გამოიცემა 6 თვემდე ვადით. მისი მოქმედების კონკრეტულ ვადას განსაზღვრავს სასამართლო. დამცავი ორდერის მოქმედების გაგრძელება შესაძლებელია მისი მოქმედების პერიოდში არაუმეტეს 3 თვით. დამცავი ორდერის მოქმედება შესაძლებელია გაუქმდეს მხარეთა შერიგებისას, მოსამართლის სათანადო გადაწყვეტილებით, სასამართლოსათვის მხარეთა ერთობლივი მიმართვის საფუძველზე.

რა შედეგები შეიძლება გამოიწვიოს სასამართლოს მიერ გამოცემული დამცავი ორდერის მოთხოვნათა შეუსრულებლობამ?

მოძალადის მიერ დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 381–ე მუხლის თანახმად, ძალაში შესული განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ან/და მისი შესრულების ხელის შეშლა ისჯე-

ბა ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ან/და თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე.

თუ მოძალადე არღვევს გამოცემული შემაკავებელი ან დამცავი ორდერით გათვალისწინებულ პირობებს, მსხვერპლმა უნდა მიმართოს საპატრულო პოლიციას და მოსთხოვოს აღნიშნულზე რეაგირება.

ასევე, ოჯახში ძალადობის მსხვერპლს უფლება აქვს, დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარე, სისხლისსამართლებრივი მექანიზმების გამოყენების მოთხოვნით მიმართოს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

პოლიცია ვალდებულია ზედამხედველობა გაუწიოს გამოცემული შემაკავაბელი და დამცავი ორდერებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და პირობების შესრულებას და მოახდინოს კანონით გათვალისწინებული რეაგირება მათი დარღვევის შემთხვევაში.

რას იწვევს დამცავი ან შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების ან/ და ვალდებულებების შეუსრულებლობა?

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით:

შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა — იწვევს ადმინისტრაციულ პატიმრობას 7 დღემდე ვადით ან გამასწორებელ სამუშაოებს ერთ თვემდე ვადით, ხოლო დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით ან გამასწორებელ სამუშაოებს 3 თვემდე ვადით. გარდა ამისა, იარაღის ტარების უფლების 3 წლამდე ვადით ჩამორთმევას (სსსკ მუხლი 175[2]).

სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით:

თუ პირმა არ შეასრულა დამცავი ან შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნები ან/და ვალდებულებები მას შემდეგ რაც **მას შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი**, იგი ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოთხმოციდან ორას ორმოც საათამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე. (სსკ381[1] მუხლი).

თავშესაფრები

ასეთი საჭიროების არსებობის შემთხვევაში ოჯახში ძალადობის მსხვერპლს შეუძლია ისარგებლოს სპეციალური თავშესაფრის მომსახურებით. თავშესაფრით სარგებლობა შესაძლებელია იმ პირთათვის, ვისაც შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ მინიჭებული აქვთ მსხვერპლის სტატუსი.

მსხვერპლის სტატუსის მინიჭება

მსხვერპლის სტატუსის მინიჭებას, ამ კანონით განსაზღვრულ სახელმწიფო ორგანოებთან (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოები, საგამოძიებო ორგანოები, სასამართლო) ერთად, უზრუნველყოფს ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელ საუწყებათაშორისო საბჭოსთან არსებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფი (მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი), თუ ოჯახში ძალადობის მსხვერპლის დაცვის უზრუნველსაყოფად არ მიმდინარეობს დამცავი ან შემაკავებელი ორდერის გამოცემის პროცესი ან ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით არ ხორციელდება სისხლისსამართლებრივი დევნის ღონისძიებები. მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის მიერ მინიჭებული მსხვერპლის სტატუსი ძალაშია მინიჭებიდან 18 თვის განმავლობაში, ხოლო თუ მსხვერპლი სარგებლობს თავშესაფრით, — მსხვერპლის თავშესაფარში მოთავსებისათვის განსაზღვრული ვადით.

თავშესაფარში ოჯახში ძალადობის მსხვერპლის/დაზარალებულის განთავსება შესაძლებელია მხოლოდ მისი თანხმობით, არასრულწლოვანი მსხვერპლის (მშობლის/მეურვის გარეშე) შემთხვევაში, ამისათვის უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებით (მაგ: მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო), კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. თავშესაფარში ცხოვრების ხანგრძლივობა განისაზღვრება 3 თვემდე ვადით. აღნიშნული ვადის ამოწურვის შემდეგ უნდა მოხდეს ბენეფიციარის მდგომარეობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში, თავშესაფრის უფროსის მიერ ვადის გახანგრძლივება. მსხვერპლის/დაზარალებულის მიერ თავშესაფრის დატოვება შესაძლებელია აღნიშნული ვადის ამოწურვამდეც, მისი სურვილითა და გადაწყვეტილებით.

თავშესაფრების შინაგანაწესის თანახმად, ოჯახში ძალადობის მსხვერპლად ჩაითვლება ოჯახის წევრი, რომელმაც განიცადა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური ძალადობა ან იძულება და რომელსაც მსხვერპლის სტატუსი განუსაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა ან/და სასამართლო ორგანომ (იგულისხმება დამცავი ან შემაკავებელი ორდერი) ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელმა ჯგუფმა.

ზემოაღნიშნული ფაქტის არსებობისას, როდესაც ძალადობის მსხვერპლს აქვს მინიჭებული სტატუსი ან გამოცემული შემაკავებელი/დამცავი ორდერი, მისი თავშესაფრის მოთხოვნის შემთხვევაში სამართალდამცავი ორგანოები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ მსხვერპლის იქ გადაყვანა.

ასევე, მსხვერპლის უსაფრთხოების დასაცავად სამართალდამცავები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ მისი საცხოვრებელი ადგილიდან პირადი ნივთების გადატანა თავშესაფარში.

ამჟამად, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების სამი სახელმწიფო დაწესებულება (თავშესაფარი) ფუნქციონირებს თბილისში, გორსა და ქუთაისში. თავშესაფრების მისამართი კონფიდენციალური ინფორმაციაა და მისი უცხო პირებისათვის გამჟღავნება დაუშვებელია.

თავშესაფარი არის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა/დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების მიზნით შექმნილი მომსახურების დაწესებულება და წარმოადგენს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის სტრუქტურულ ერთეულს.

მსხვერპლს თავშესაფარსა თუ კრიზისულ ცენტრში მოხვედრის შემთხვევაში უნარჩუნდება სამუშაო ადგილი იმავე თანამდებობაზე. ასევე, თავშესაფარში განთავსებისას მას აქვს უფლება ისარგებლოს უფასო სამართლებრივი კონსულტაციით, უფასო პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარებით.

კრიზისული ცენტრები

კრიზისულ ცენტრში შესაძლებელია განთავსდეს პირი, რომელსაც არ აქვს ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსი მინიჭებული, მის დასაცავად პოლიციის მიერ არ გამოცემულა შემაკავებელი ორდერი და/ან არ მიუმართავს სასამართლოსათვის, თუმცა გარემოებებიდან გამომდინარე აუცილებელია მისი მოძალადისგან განცალკევება და დროებით სხვაგან მოთავსება. კრიზისული ცენტრი არის ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლთა და მსხვერპლთა დროებითი განთავსების ადგილი, რომელიც ემსახურება ფსიქოლოგიურ-სოციალურ რეაბილიტაციას, პირველად და გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებასა და სამართლებრივ დახმარებას. კრიზისულ ცენტრში პირის (მასზე დამოკიდებული პირების) განთავსება შესაძლებელია მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრამდე და სტატუსის განსაზღვრის შემდეგ იმ შემთხვევაში, თუ მსხვერპლი არ გამოთქვამს თავშესაფარში მისი საცხოვრებლად განთავსების სურვილს და საჭიროებს მხოლოდ ფსიქოლოგიურ-სოციალურ რეაბილიტაციას ან/და სამართლებრივ დახმარებას ან/და პირველად და გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებას თავშესაფარში ცხოვრების გარეშე.

ამ დროისათვის საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციების ბაზაზე მოქმედი ორი კრიზისული ცენტრია, რომელთა ადმინისტრირებას ახორციელებს შემდეგი ორგანიზაციები:

ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელი
ტელ/ფაქსი: 2 95 06 79
ცხელი ხაზი: 2 72 67 17
ელ-ფოსტა: antiviolence@avng.ge

ქალთა საკონსულტაციო ცენტრი „სახლი“
ტელ: 32 298 90 80
ელ. ფოსტა: sakhli13@hotmail.com

თუ მსხვერპლი არ სარგებლობს თავშესაფრით/კრიზისული ცენტრით და მას სურს დარჩეს საცხოვრებელ ადგილზე დამცავი ან შემაკავებელი ორდერით, ასეთ შემთხვევაში განისაზღვრება მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილიდან მოძალადის დროებითი განრიდების საკითხი. პოლიცია უფლებამოსილია დამცავი ან შემაკავებელი ორდერის შესაბამისად მოძალადე გაარიდოს მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილიდან იმ შემთხვევაშიც, თუ ეს ადგილი მოძალადის საკუთრებაა.

ასევე, ძალადობის მსხვერპლს აქვს უფლება მიიღოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი კომპენსაცია თუ მისთვის მიყენებული ზიანი არ ანაზღაურდება სასამართლოს მეშვეობით (მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით). (2015 წლის 1 მაისამდე საქართველოს მთავრობამ უნდა განსაზღვროს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის კომპენსაციის მიცემის წესი და კომპენსაციის ოდენობა).

ოჯახში ძალადობისაგან დაცვის მექანიზმები

ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთისათვის გამოიყენება სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქო-სამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმები.

სისხლისსამართლებრივი მექანიზმები

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობაში, ადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს, განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი და აწესებს შესაბამის სასჯელს ან სხვა სახის სისხლისსამართლებრივ ღონისძიებას. მისი მიზანია დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა.

ოჯახში ძალადობა ანუ ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა და რასაც არ მოჰყოლია ჯანმრთელობის განზრახ მძიმე, ნაკლებად მძიმე ან მსუბუქი დაზიანება, ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით. თუ ოჯახში ძალადობა ჩადენილია ორსული ქალის, არასრულწლოვნის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართ, არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ, ოჯახის რამდენიმე წევრის მიმართ, პირთა ჯგუფის მიერ ან არაერთგზის, ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ასიდან ორას საათამდე, თავისუფლების შეზღუდვით ვადით ერთ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლი).

სისხლისსამართლებრივი მექანიზმები ასევე გამოიყენება სისხლის სამართლის დანაშაულის შემცველი ნიშნების შემთხვევებშიც, როგორიცაა:

ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის: განზრახ მკვლელობა, განზრახ მკვლელობა დამამძიმებელი გარემოებებით, თვითმკვლელობამდე მიყვანა, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე, ნაკლებად მძიმე ან მსუბუქი დაზიანება, გაუპატიურება, გარყვნილი ქმედება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა, მძევლად ხელში ჩაგდება, წამება, წამების მუქარა, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა, უკანონო მოთავსება ან დაკავება ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, იძულება, მუქარა, ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევა, არასრულწლოვნის ჩაბმა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში, პროსტიტუციაში ჩაბმა, პორნოგრაფიული ნაწარმოების ან სხვა საგნის უკანონო დამზადება ან გასაღება, არასრულწლოვნის ჩაბმა პორნოგრაფიული ნაწარმოების ან პორნოგრაფიული ხასიათის სხვა საგნის უკანონოდ დამზადებასა და გასაღებაში (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1] მუხლი).

სამოქალაქო-სამართლებრივი მექანიზმები

გამოიყენება ოჯახში ძალადობის შედეგად მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახ ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ზიანი. ასევე, არამატერიალური ზიანის შემთხვევაში, სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის თანახმად:

1. არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით.
2. სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვისაც.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმები

გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ სამართალდარღვევა, კანონმდებლობის შესაბამისად, არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას და მისი აღკვეთა შესაძლებელია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმების შესაბამისად.

რას ემსახურება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ კანონმდებლობა?

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ კანონმდებლობა იცავს საკუთრების, მოქალაქეთა სოციალურ–ეკონომიკურ, პოლიტიკურ და პირად უფლებებსა და თავისუფლებებს, საზოგადოებრივ წესრიგს და უზრუნველყოფს სამართალდარღვევათა თავიდან აცილებას. ხოლო შინაგან საქმეთა ორგანოების მოვალეობაა ებრძოლონ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს.

რას ნიშნავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევა (გადაცდომა)?

ადმინისტრაციული სამართალდარღვევა (გადაცდომა) არის სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. ხოლო თუ ასეთი მოქმედების ჩამდენისათვის ცნობილი იყო თავისი მოქმედების არაკანონიერება, ითვალისწინებდა მის მავნე შედეგებს, სურდა ისინი ან შეგნებულად უშვებდა მათ, მაშინ საქმე გვაქვს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის განზრახ ჩადენასთან. (მუხლი 10 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ცნება).

ვის მივმართოთ ოჯახში ძალადობის ჩადენის, დამცავი ან შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში?

რაიონული (საქალაქო) სასამართლო განიხილავს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც

ეხება დამცავი ან შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების დარღვევას. (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი 246–ე მუხლი).

ვის აქვს პირის ადმინისტრაციული დაკავების უფლება?

ოჯახში ძალადობის ჩადენის, დამცავი და შემაკავებელი ორდერებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში პირის ადმინისტრაციული დაკავების უფლება აქვთ შინაგან საქმეთა ორგანოებს.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, ისევე როგორც სისხლის სამართლის კოდექსში დეტალურად არის გაწერილი გამოცემული შემაკავებელი და დამცავი ორდერის დარღვევის შემთხვევაში გათვალისწინებული ზომები.

სხვა საჭირო ინფორმაცია

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურე დაწესებულებები და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილი ორგანოები ვალდებულნი არიან ოჯახში ძალადობის მსხვერპლს საჭიროების შემთხვევაში მიაწოდონ ინფორმაცია და გაუწიონ სათანადო დახმარება ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული განცხადების (სარჩელის) მომზადებაში. ასევე, ოჯახში ძალადობის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე სარჩელების შედგენაში და შესაბამის სამართალწარმოებაში.

პოლიცია ვალდებულია ოჯახში ძალადობის მსხვერპლს დაუყოვნებლივ შეატყობინოს მის მიმართ ძალადობის ჩამდენი პირის (მოძალადის) პატიმრობიდან განთავისუფლების, აგრეთვე ამ პირის მიერ საპატიმრო ადგილის დატოვების სხვა შემთხვევის თაობაზე.

თავის მხრივ, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ორგანოები ვალდებული არიან ოჯახში ძალადობისთვის მსჯავრდებული პირისათვის შეფარდებული თავისუფლების აღკვეთის ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს 3 თვისა მისი გათავისუფლების შესახებ წერილობითი შეტყობინება გაუგზავნონ საუბნო პოლიციას დანაშაულის ჩადენის ადგილის მიხედვით.

სახალხო დამცველის აპარატი ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარებისათვის

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს სახალხო დამცველის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. აღნიშნული მიმართულებით დასახული მიზნების მისაღწევად შეიქმნა გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი, რომელიც უშუალოდ მუშაობს ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე.

საქართველოს სახალხო დამცველი განიხილავს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის შესახებ განცხადებასა და საჩივარს იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი სადავოდ ხდის:

ა) საჯარო დაწესებულების გადაწყვეტილებას;
ბ) სასამართლო განხილვის პროცესში საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებებისა და თავისუფლებების შელახვას ან დარღვევას;
გ) დაკავებული, დაპატიმრებული ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირისთვის საქართველოს კანონმდებლობით უზრუნველყოფილი უფლებების დარღვევას;
დ) ნორმატიული აქტების საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავთან შესაბამისობას;
ე) რეფერენდუმისა და არჩევნების მომწესრიგებელი ნორმების და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული ან ჩასატარებელი არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობას;

2. საქართველოს სახალხო დამცველს უფლება აქვს არ განიხილოს განცხადება ან საჩივარი, რომლის თაობაზეც მას მიღებული ჰქონდა გადაწყვეტილება, თუ არ წარმოიქმნა ახალი გარემოებანი.
3. საქართველოს სახალხო დამცველის მიერ განცხადებისა და საჩივრის განხილვამ არ შეიძლება დააბრკოლოს ანალოგიური განცხადების ან საჩივრის განხილვა შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციაში (საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ, 14–ე მუხლი).

საქართველოს სახალხო დამცველი დამოუკიდებლად ამოწმებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგო-

მარეობას, ასევე მათი დარღვევის ფაქტებს როგორც მიღებული განცხადებისა და საჩივრის საფუძველზე, ისე საკუთარი ინიციატივით (საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ, 12–ე მუხლი).

შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან არ განხორციელდა სათანადო რეაგირება ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე, მსხვერპლს შეუძლია მიმართოს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს, რის შემდეგაც საქმისწარმოებას გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი დაიწყებს.

ვის შეუძლია მიმართოს გენდერული თანასწორობის დეპარტამენტს?

საქართველოს მოქალაქეს, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა თუ მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომელთაც მიაჩნიათ, რომ დაირღვა მათი უფლებები გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით, ან მესამე პირს, რომლისთვისაც ცნობილი გახდა სავარაუდო დარღვევის შესახებ, შეუძლიათ მიმართონ სახალხო დამცველს განცხადებით ან საჩივრით. შესაბამისად, შეტყობინება ოჯახში ძალადობის ფაქტის შესახებ, შესაძლებელია მიეწოდოს სახალხო დამცველის აპარატის თბილისის და რეგიონულ ოფისებს ადგილზე, სატელეფონო ზარის მეშვეობით, ფოსტით, მათ შორის ელექტრონული ფოსტით, თავად მსხვერპლის ან მესამე პირის მიერ, ვისთვისაც ცნობილი გახდა ამ ფაქტის შესახებ. სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი შესაძლო მსხვერპლს დაეხმარება შესაბამის უწყებებთან კოორდინაციაში, მათ შორის თავშესაფარში განთავსებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.
დეპარტამენტის მიერ დაინტერესებულ პირთათვის გაწეული სამსახური უფასოა.

თუ თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაცია შეიცავს პირად, კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას, აღნიშნული ინფორმაცია თქვენი თანხმობის გარეშე არ იქნება ხელმისაწვდომი სხვა პირთათვის.

როგორია საჩივრის/განცხადების განხილვის ვადები?

სახალხო დამცველი განცხადების ან/და საჩივრის განხილვისას არ არის შეზღუდული დროში. განცხადების განხილვისთვის საჭირო დრო დამოკიდებულია მასში დაფიქსირებული პრობლემის შინაარსსა და სირთულეზე.

დანართი 1

სახალხო დამცველისადმი მიმართვის ფორმა

საქართველოს სახალხო დამცველს
ბატონ უჩა ნანუაშვილს
მონაცემები განმცხადებლის შესახებ

სახელი: _____

გვარი: _____

მისამართი: ქალაქი (რაიონი): _____ ქუჩა: _____ N _____

ტელეფონი: _____ ელ–ფოსტა: _____

პირადი ნომერი: _____

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საქართველოს სახალხო დამცველი

დაირღვა თქვენი უფლებები?
მიმართეთ სახალხო დამცველს!

თბილისი:
ნინო რამიშვილის ქ. #6. თბილისი 0179
ტელ: +99532 223 44 99/ 291 38 14/ 291 38 15/ 291 38 41/
291 38 42/ 291 38 43/ 291 38 75/ 291 38 76/ 291 38 77
ფაქსი: +99532 91 38 41
ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge
www.ombudsman.ge

ბათუმი:
მაზნიაშილის ქ. N9
ტელ: 0422 27 05 44

ზუგდიდი:
კოსტავას ქ. N58
ტელ: 0415 22 36 11
მობ: 577 50 52 34

ახალქალაქი:
ჭავჭავაძის ქ. N4
ტელ: 0362 22 32 83
მობ: 577 12 27 70
577 12 27 71

ქუთაისი:
რუსთაველის ქ. N18
ტელ: 0431 25 33 50
მობ: 577 55 33 81

გორი:
სამების ქ. N1
ტელ: 0370 27 05 49
მობ: 577 78 27 42

მარნეული:
რუსთაველის ქ. N51
ტელ: 375 22 19 70
მობ: 593 17 18 55

თელავი
ჩოლოყაშვილის ქ. N36
ტელ: 0350 27 99 27

UN WOMEN
United Nations Entity for Gender Equality
and the Empowerment of Women

გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women)
საქართველოს წარმომადგენლობა
კავსაძის ქ. №3, ოფისი №11, 0179
თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 222 06 04
(995 32) 222 08 70

www.unwomen.org
www.facebook.com/unwomen
www.twitter.com/unwomen
www.youtube.com/unwomen
www.flickr.com/unwomen